ოქმი:**ო63. 6322336001**
თარიღი:**02/12/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 53

ქ. სამტრედია. 29 ნოემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 29 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.63213545 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის '' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-63 63213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N g-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135422 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის '' 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № g-6363213548 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს, 2022 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.63213549 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N g-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

10. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა" ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მარტის Ng-63.63220774 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მ.უღრელიძე/

14. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ოქტომბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

15. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

16. სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022–2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

18. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

19. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და სამტრედიის მუნიციპალიტეტის პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/.

20. **სხვადასხვა.**

კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ნოემბრის** N 62-622232937, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, მივლინების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.3 ათ.ლარით; ოფისის ხარჯის მუხლში 10.3 ათ.ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში 3.0 ათ.ლარით; არაფინანსური ხარჯის მუხლში 1.3 ათ.ლარით, შესაბამისად რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 3.4 ათ.ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკისა და ექსპლოატაციის ხარჯის მუხლში 11.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 21 ნოემბრის** N: 62-622232556 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა''-ს 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა მცირდება ოფისის ხარჯის მუხლში (ელექტრო-ენერგიის ხარჯის თანხა 1.1 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.25 ათ.ლარით; კანალიზაციის ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; შენობის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში1.0 ათ.ლარით); ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით; ინვენტარის მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში1.5 ათ.ლარით; სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 0.8 ათ.ლარით; კულტურული ღონისძიებების ხარჯის მუხლში 0.6 ათ.ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში 0.2 ათ.ლარით; სულ 7.05 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება მცირეფასიანი მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენის ხარჯის მუხლში 5.84 ათ.ლარით; მცირეფასიანი ტექნიკის შეძენის მუხლში 0.2 ათ.ლარით; სოციალური დახმარების მუხლის თანხა (საავადმყოფო ფურცლით ანაზღაურება) 1.01 ათ.ლარით, სულ 7.05 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 17 ნოემბრის** N: 62-622232180 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა''-ს 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონელი და მომსახურეობის (კატრიჯების შეძენა და დატუმბვა) მუხლში თანხა მცირდება 200 ლარით და შესაბამისად სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 200 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ნოემბრის** N: 62-622232945 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 3.0 ათ.ლარით; სხვა ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; კატრიჯის შეძენა და დატუმბვის მუხლში 0.5 ათ.ლარით; კომპიუტერული პროგრამის შეძენის ხარჯის მუხლში 0.5 ათ.ლარით; ბუნებრივი აირის ხარჯის მუხლში 1.5 ათ.ლარით, სულ 6.5 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება დამსაქმებლის მიერ გაწეული დახმარების მუხლში (ბიულეტინი) 1.6 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 2.7

ათ.ლარით; საოფისე ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლში 0.7 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯის მუხლში 1.5 ათ,ლარით; სულ 6.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 17 ნოემბრის** N: 62-622232179 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 1.00 ათ.ლარით; სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით; სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში 0.05 ათ.ლარით; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯის მუხლში 0.25 ათ.ლარით; სულ თანხა შემცირდა 1.80 ათ.ლარით. შესაბამისად თანხა იზრდება მივლინების ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით; გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 0.60 ათ.ლარით და სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, სულ თანხა გაიზარდა 1.80 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 21 ნოემბრის** N: 62-6222322117 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, თანხა მცირდება ოფისის მუხლში, ,,საოფისე ავეჯის ხარჯი'' 0.9 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.6 ათ.ლარით; რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით. შესაბამისად თანხა იზრდება შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპ.ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით; არაფინანსური მუხლიდან კომპიუტერის ხარჯის მუხლში 0.6 ათ.ლარით; სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 0.9 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 17 ნოემბრის** N: 62-622232182 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი“ -ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდიდან (კომპიუტერის) ხარჯის მუხლში თანხა შემცირდება 1300 ლარით და შესაბამისად არაფინანსური აქტივების ზრდაში (სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული ხარჯის მუხლში) თანხა იზრდება 1300 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 21 ნოემბრის** N: 62-6222322119 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. „გაზეთი მაცნე“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ოფისის მუხლიდან საოფისე ავეჯის მუხლში თანხა მცირდება 0.5 ათ.ლარით; საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკები და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის მუხლში 0.3 ათ.ლარით; კომპიუტერული ტექნიკის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; კატრიჯის შეძენა და დამუხტვის ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით; გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის მუხლში 0.2 ათ.ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით; ელ-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური მუხლიდან კომპიუტერის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 2.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ნოემბრის** N62-622232936 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსური აქტივებიდან არასაცხოვრებელი შენობების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 7.80 ათ.ლარით; სხვა ინტელექტუალური და საკუთრების პროდუქტების ხარჯის მუხლში 4.80 ათ.ლარით; კომპიუტერის შეძენის ხარჯის მუხლში 1.50 ათ.ლარით; შესაბამისად არაფინანსური აქტივებიდან სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული თანხა იზრდება 7.80 ათ.ლარით; ასევე საქონელი და მომსახურების

ხარჯიდან კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში 6.30 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ნოემბრის** N: 62-622232940 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ა,(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-მა წარმოადგინა მერიიდან შემოსული 2022 წლის 17 ნოემბრის N N62- 622232181 წერილობითი მომართვის კორექტირებული ვერსია, რომლითაც საჭიროა განხორციელდეს მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ხარჯების ნაწილში, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.45 ათ.ლარით; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლში 0.60 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 1.0 ათ.ლარით; სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯის მუხლში 0.90 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.96 ათ.ლარით; შესაბამისად კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 1.10 ათ.ლარით; მივლინება ქვეყნის შიგნით მუხლში თანხა იზრდება 2.15 ათ.ლარით; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.96 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 21 ნოემბრის** N: 62-622232941 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მივლინების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.83 ათ.ლარით; საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალის შეძენის ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯის მუხლში 0.14 ათ.ლარით; რეცხვა-ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 1.57 ათ.ლარით; საოფისე ინვენტარის, მანქანა-დანადგარის მოვლა-შენახვის (ექსპლოატაცია) და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.82 ათ.ლარით; კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში 0.11 ათ.ლარით; საფოსტო მომსახურების ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; ელ-ენერგიის ხარჯის მუხლში 3.1 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 2.0 ათ.ლარით; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლში 3.0 ათ.ლარით; სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.89 ათ.ლარით; ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.54 ათ.ლარით; ბანკის მომსახურეობის ხარჯის

მუხლში 0.1 ათ.ლარით; დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების ხარჯის მუხლში 1.0 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ხარჯის მუხლში 0.2 ათ.ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების მუხლში 1.5 ათ.ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 2.0 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში 11.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 21 ნოემბრის** N: 62-62223232 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი „თანადგომა“ -ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.25 ათ.ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 0.3 ათ.ლარით; კანალიზაციის ხარჯის მუხლში 0.06 ათ.ლარით; შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით; ოფისის ხარჯის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 0.33 ათ.ლარით; შრომის ანაზღაურება თანამდებობრივი სარგო 1.64 ათ.ლარით; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 1.36 ათ.ლარით; სულ 4.74 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ბუნებრივი აირის ხარჯის მუხლში 0.15 ათ.ლარით; საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯის მუხლში 1.59 ათ.ლარით; რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯის მუხლში 2.4 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 0.6 ათ.ლარით, სულ 4.74 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 21 ნოემბრის** N: 62-622232295 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სახლი თანადგომა“-ს კვების პროდუქტების გაზრდასთან დაკავშირებით, 2022 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმებში ცვლილების შეტანის საკითხს. მომხსენებელმა სხდომის წევრებს წარმოუდგინა დანართი N1. რომელშიც გაწერილია კვების კვირეული ნორმები.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 08 ნოემბრის,** N 62622231242 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის შესრულებას და შესრულების ანალიზის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

ათ თვეში ბიუჯეტის მიმართ შვიდჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 35973,2 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 17215,4 ათასი ლარით.

- საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -16835,0 ათასი ლარით.
- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 2171,5 ათასი ლარით.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 474,0 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 12472,2 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი , რომელიც განაწილებულია.

შემოსულობების ანალიზი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ოქტომბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 24715,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 90,4 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 13729,7 ათასი ლარი, რაც ოქტომბრის თვის გეგმის 99,8 %-ია, დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 11677,5 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 99,9 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 80,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 98,5%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1971,4 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -99,6 %-ით.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან ათ თვეში მიღებულია 2260,8 ათასი ლარი, გეგმა 1928,9 ათასი ლარი, შესრულება (117,2%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 103,1 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -802,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 361,1 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 162,5 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 538,1 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 24,9 ათ.ლარი, ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 152,7 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 116,4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 525,8 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 93,9 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან -431,9 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 110,9%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის ოქტომბრის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (16325,6 ათასი ლარი), შემოსულია 8390,1 ათასი ლარით მეტი.ზრდის ტემპი არის 151,4%-ი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ოქტომბრის თვის შესრულების შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ნოემბრის** N: 62-622232935 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის ცვლილება, რომელიც განხორციელდა ა.(ა).ი.პ.-ებსა და შ.პ.ს.-ებში.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას, 2022 წლის 24 ნოემბრის** N:63-63223285, მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს, 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა დაწვრილებით, მუხლობრივად განიხილა წარმოდგენილი სამუშაო გეგმის პროექტი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის ულებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ნათია პაპავას, 2022 წლის 24 ნოემბრის** N:63-63223284 განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, 2022 წლის 15 დეკემბრიდან კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი. რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ნათია პაპავასთან**, 2022 წლის 15 დეკემბრიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის, ნორა იანიკოვის, **2022 წლის 25 ნოემბრის**

N63-6322329001 მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხება, საკრებულოს აპარატის, ეფექტური და ხარისხიანი მუშაობისათვის ერთი საშტატო ერთეულის დამატების საკითხს, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის საორგანიზაციო საკითხებში. (საფინანსო მიმართულებით) .

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისია თანახმაა საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში განხორციელდეს წარმოდგენილი ცვლილება და დაემატოს ერთი საშტატო ერთეული. თუმცა აღნიშნული შტატის დამატება გამოიწვევს აპარატის სახელფასო ფონდის ცვლილებას (გაზრდას). საკითხი საჭიროებს შეთანხმებას საფინანსო საბიუჯეტო სამსახურთან. შესაბამისად აღნიშნულის თაობაზე წერილობით ეცნობა მერს. დადებითი გადაწყვეტილების, თანხმობის შემთხვევაში, საკითხს მოყვება შესაბანისი რეაგირება.

შემოვდივარ წინადადებით, დროებით შეჩერდეს საკითის განხილვა.

კენჭი ეყარა წინადადებას: შეჩარდეს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' დადგენილების პროექტის განხილვა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), შეჩერდა საკითხის განხილა და მისი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 11 ნოემბრის**

N 62-622231559 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და სამტრედიის მუნიციპალიტეტის პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგნილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213541 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.63213545 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის ‘’ 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება’’-ს 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135422 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ‘’ 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213548 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს, 2022 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213549 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

10. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს 2022 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მარტის Nგ-63.63220774 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ოქტომბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

15. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

16. სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022–2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და სამტრედიის მუნიციპალიტეტის პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/.

19. **სხვადასხვა.**

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის 1 დეკემბერს 11^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი